09/11/2026

MES 0 26 0001632221

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
დავით მალაზონია - შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს -,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
დიმიტრი ცანავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქზესტაფონის N4 საჯაროსკოლა:
ირმა ბოჭორიშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე
სსიპ - ქალაქთბილისის N2 საჯაროსკოლა:
გალაქტიონ მინდიაშვილი - სკოლის დირექტორი
შპსბაქსვუდისსაერთაშორისოსკოლა:
არჩილ სუმბაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ემზარრეხვიაშვილისსახელობისბოლნისისმუნიციპალიტეტისსოფელრაჭისუბნისსაჯარო სკოლა:
იამზე ჭოხონელიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - თემურბოკუჩავასსახელობისაფხაზეთის №7 საჯაროსკოლა:
ელისო სიჭინავა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ოზურგეთისმუნიციპალიტეტისსოფელთხინვალისსაჯაროსკოლა:
ნანული ბოლქვაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ვანისმუნიციპალიტეტისსოფელმთისძირისსაჯაროსკოლა:
ნათელა სირაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ტყიბულისმუნიციპალიტეტისსოფელმუხურისსაჯაროსკოლა:
ირაკლი გაბრიჭიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ლაგოდეხისმუნიციპალიტეტისსოფელლელიანისსაჯაროსკოლა:
ირინე ჭუმბურიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქწალენჯიხის N3 საჯაროსკოლა:
თამარი ლუკავა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხელვაჩაურისმუნიციპალიტეტისსოფელზედაგანთიადისსაჯაროსკოლა:
ხათუნა გოგიტიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქბათუმის №3 საჯაროსკოლა:
იანა ჩადუნელი- სკოლის დირექტორი
სსიპ - ვლადიმერჯანჯღავასსახელობისხონისმუნიციპალიტეტისსოფელგუბისსაჯაროსკოლა:
გვანცა ვაშაკიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - თამაზმელიქიძისსახელობისახალქალაქისმუნიციპალიტეტისსოფელკოთელიისსაჯაროს კოლა:
ზალიკო მაისურაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - მერაბჭელიძისსახელობისხულოსმუნიციპალიტეტისსოფელირემაძეებისსაჯაროსკოლა:
ბადრი ირემაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ვაჟა-ფშაველასსახელობისქალაქთბილისის №87 საჯაროსკოლა:
ლია მერებაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ – სერგოჯაიანისსახელობისხულოსმუნიციპალიტეტისსოფელხიხაძირისსაჯაროსკოლა:

არჩილ ხალვაში - სკოლის დირექტორი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 26 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;

10. სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ - ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ - თამაზ მელიქიძის სახელობის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ - მერაბ ჭელიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემაძეების საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
16. სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
17. სსიპ – სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 24 ივნისის N791211 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება,კერძოდ 2026 წლის სექტემბერში სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრის, სკოლის ექიმის საშტატო ერთეულის შეთანხმებისა და კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა,სკოლის ექიმის საშტატო ერთეულის შეთანხმებისა და კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, ირმა ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრის ნაწილში სკოლამ ვერ უზრუნველყო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის დადგენილ ვადაში შესრულება,

ხოლო სხვა ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული სკოლის მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 14:43

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ, სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან მიმართებით მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ოქტომბერში წარმოდგენა.

2. სსიპ - ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 24 ივნისის N793604 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში, ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმების თანხვედრაში მოყვანის, მოქმედ კვების ობიექტთან ხელშეკრულების გაუქმების , 2027 წლის აპრილში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის გამწოვი კარადით აღჭურვისდამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა 2026 წლის სექტემბერში წარსადგენი რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, გალაქტიონ მინდიაშვილმა აღნიშნა, რომ განსაზღვრული რეკომენდაციები შესრულებული ჰქონდათ ვადის დაცვით, ხოლო დარჩენილ რეკომენდაციებს შესარულებდნენ საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:44
დასრულების დრო: 14:47

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

3. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციისსაბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 18 სექტემბრის N1262956 ოქმის მე-4 და მე-5 ნაწილების საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში მოთხოვნილ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისი კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმების, 2026 წლის აგვისტოში მეორე სამედიცინო პერსონალის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში.

სკოლამ ცენტრში რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებად წარმოადგინა 2026 -2027 წლის სათობრივი დატვირთვა, პირადი საქმე, კონკურსის ოქმები, ხელშეკრულებები, ფოტომასალა (ვიდეო კამარებით აღჭურვის და პირველი სართულის მოწყობის), შესაბამისობის გეგმა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის დირექტორმა, არჩილ სუმბაძემ აღნიშნა, რომ სკოლას განსაზღვრული რეკომენდაციები, კერძოდ მდგრადობის დასკვნა, აკადემიური პერსონალის, სამედიცინო პერსონალის აყვანის, ვიდეო სათვალთვალო კამერის დამონტაჟების შესახებ მტკიცებულება წარმოდგენილი ჰქონდა საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, ხოლო დარჩენილ რეკომენდაციებს შესარულებდნენ,ასევე განსაზღვრულ ვადებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 14:56

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. იქიდან გამომდინარე, რომ ექიმთან დაკავშირებით, ინფორმაციის დაგვიანებით წარმოდგენის გამო, დოკუმენტაცია არ იყო გაზიარებული საბჭოსთვის, ცენტრს მიმართა აღნიშნული დოკუმენტების უახლოეს პერიოდში მათთვის გაზიარების მიზნით.

4. სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭის უბნის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 11 აგვისტოს N895009 ოქმის 1 - ლი ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მიმართულებით შესაბამისი

კვალიფიციური კადრის დასაქმების, მუსიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სამივე თემატური ბლოკის თემებისა და მუსიკის საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების კურიკულუმის შემუშავების მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა რკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, იამზე ჭოხონელიძემ აღნიშნა რომ, ადამიანური რესურსი სკოლაში გაძლიერდა, მოწესრიგდა კურიკულუმები, მტკიცებულებები წარმოდგენილი ჰქონდა, ხოლო დარჩენილ რეკომენდაციებს შესარულებდნენ საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:58
დასრულების დრო: 15:07

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

5. სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 09 ივლისს N 895009 ოქმის მე - 6ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა
სკოლამ ცენტრში,რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებებადწარმოადგინა ინფორმაცია გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ, საკონკურსო კომისიის ოქმები, ბრძანებები, ვაკანტური საათების დროებით შეთავსებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ელისო სიჭინავამაღნიშნა, რომ სკოლამ რეკომენდაციის გაცემისთანავე გამოაცხადა ვაკანსია, მიუხედავად ექვსჯერ გამოცხადებისა სკოლამ ვერ მოიძია შესაბამისი კვალიფიციური კადრი, აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდაცია ვერ შესრულდა საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:15
დასრულების დრო 15 : 20

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია შეუსრულებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, კანონმდებლობის

მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზების დამადასტურებელი მტკიცებულებები სკოლას ცენტრში წარედგინა 2026 წლის დეკემბერში.

6. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 28 მაისისს N633235 ოქმის მე - 4ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის აგვისტოში სტრატეგიულ განვითარების გეგმაზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების, ასევე შეფასების შედეგების შემდგომი განვითარებისთვის გამოყენების, ანგარიშების გასაჯაროების მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა 2025 -2026 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასება, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები, საჯაროობის მტკიცებულებები დასამუშაო ჯგუფის ბრძანებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნანული ბოლქვაძემაღნიშნა,რომ სკოლის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილი ჰქონდათ,ხოლო დარჩენილ რეკომენდაციებს შესარულებდნენ საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15 : 25
დასრულების დრო: 15 : 30

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები.

7. სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მთის ძირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 14 ივლისის N923910 ოქმის მე - 9ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება , კერძოდ 2026 წლის სექტემბერამდე ექიმის პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადების მტკიცებულების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა განმარტება, რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებად. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სკოლაში ექიმის პოზიციაზე დასაქმებული პირი, პარალელურად მუშაობდა სკოლასთან აზლო მდებარე სოფლის სამედიცინო მომსახურების ცენტრში. მას წარედგინა სამუშაოზე გამოცხადების განრიგი. იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული არ შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას (სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის შესახებ დადგენილ ნორმებს), ხელშეკრულების ვადის გასვლამდე გატარებული იქნებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ნათელა სირაძემაღნიშნა, რომ სკოლამ აღმოფხვრა ხარვეზი სკოლაში ექიმის დასაქმებასთან მიმართებით, მტკიცებულება წარმოდგენილი ჰქონდა საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. სხვა რეკომენდაციებს კი შეასრულებდნენ დათქმულ ვადაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15 : 36
დასრულების დრო: 15 : 43

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით.

8. სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 19 ივნისის N752010 ოქმის მე - 9ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ 2026 წლის ივლისში საჯარო რეესტრის დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის, ხოლო 2026 წლის სექტემბერში სპორტისა და მე და საზოგადოების საგანში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დასაქმების მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, კონკურსის გამოცხადების მტკიცებულება, ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ, საკონკურსო კომისიის ოქმი საბუთების გადარჩევაზე, საკონკურსო კომისიის ოქმი კადრის შერჩევაზე, საგანი სპორტის მასწავლებლის საგამოცდო ქულა სასერთიფიკაციო გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ, eflow - წერილი სპორტის მასწავლებლის უფროსის სტატუსის მინიჭებაზე. სკოლამ ასევე წარმოადგინა ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა, რომლის შესრულებისთვისაც საბჭოს მიერ განსაზღვრული იყო 2028 წლის ივნისი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ირაკლი გაბრიჭიძემ აღნიშნა, რომ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სკოლამ კანომდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად დაასაქმა მასწავლებლები, რაც დადასტურებული იყო შესაბამისი ოქმებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:47
დასრულების დრო: 15 : 53

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

9. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 07 ოქტომბერს N1294425 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, ღობის მთლიანობის აღდგენის, საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის, მატერიალური ინვენტარიზაციის ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ირინე ჭუმბურიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის შენობა შეისწავლეს სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტებმა და დასკვნა შემუშავების პროცესში იყო და უახლოეს მომავალში წარმოადგენდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16 : 00
დასრულების დრო: 16 :09

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციასთან, კერძოდ, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულებისა და დამადასტურებელი მტკიცებულების ცენტრში წარდგენის ვადად განესაზღვრა 2027 წლის სექტემბერი.

10. სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 05 სექტემბრის N1075463 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის აგვისტოში, 3.1 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, ექიმის აყვანის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების და დამტკიცების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და კვალიფიციური ექიმის აყვანისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, თამარ ლუკავამ, აღნიშნა, რომ სკოლის ექიმს გარკვეული კურსები უკვე გავლილი ჰქონდა, თუმცა ჯერ შესაბამისი სერთიფიკატი არ ჰქონდა მოპოვებული. ხოლო რაც შეეხებოდა ახალი ექიმის აყვანის საკითს, სკოლის ადგილმდებარეობის გათვალისიწნებით, კვალიფიციური კადრის აყვანას ვერ ახერხებდნენ. აქვე დასძინა, რომ 2027 წლამდე სკოლის ექიმი მოაგვარებდა ამ პრობლემას და შესაბამის ლიცენზიასაც წარმოადგენდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:15
დასრულების დრო: 16:21

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვებისა და კვალიფიციური ექიმის აყვანის საკითხებზე მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის აგვისტოში წარმოდგენა.

11. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2025 წლის 23 სექტემბერის N1203304 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება, კერძოდ, 2025 წლის ოქტომბერში 1.2 კომპონენტთან მიმართებით, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცების, ხოლო 2026 წლის სექტემბერში 2.2 და 3.1 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვისა, და კვალიფიციური მასწავლებლების შერჩევის, დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვისა და კვალიფიკაციური მასწავლებლების შერჩევისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ხათუნა გოგიტიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის ლაბორატორია ამ ეტაპზე არ იყო სრულყოფილი, თუმცა დამატებული იყო გამწოვი, ლეპტოპი და რეაქტივები, ასევე პროექტორიც განთავსებოდა უახლოეს მომავალში. დირექტორმა დასძინა, რომ მასწავლებლები ცდილობდნენ ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენებასაც სასწავლო პროცესში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16 :28
დასრულების დრო: 16 : 37

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვისა და კვალიფიკაციური მასწავლებლების შერჩევა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის სექტემბერში წარმოდგენა.

12. სსიპ - ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 07 სექტემბერის N1160135 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები,და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება კერძოდ, 2026 წლის სექტემბერში დაწყებით საფეხურზე (ქართული და რუსული) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, ფიზიკური აღზრდის და მე და საზოგადოების, დაწყებით საფეხურზე (ქართული) ბუნებისმეტყველების, საბაზო საფეხურზე (რუსული) - ,,ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)'', საშუალო საფეხურზე (რუსული) - არჩევითი საგნის - ხელოვნების ისტორიის, საბაზო საფეხურზე (ქართული) - ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმების, ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, ვიდეომონიტორინგის სისტემის დამონტაჟების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვის, სკოლის საპირფარეშოებში პრივატულობის უზრუნველყოფის, სკოლის ეზოში არსებული ახალი შენობის სკოლის სარგებლობაში ოფიციალურად გადაცემის და ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოპოვების, ახალი შენობის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების და შესაბამისი ამონაწერის მომზადებისა და მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიღებული რეკომენდაციების სრულად გათვალისწინების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა ვიდეომონიტორინგის სისტემის დამონტაჟების, შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვის, სკოლის საპირფარეშოებში პრივატულობის უზრუნველყოფის, სკოლის ეზოში არსებული ახალი შენობის სკოლის სარგებლობაში ოფიციალურად გადაცემის და ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოპოვების, ახალი შენობის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების და შესაბამისი ამონაწერის მომზადებისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, იანა ჩადუნელმა, აღნიშნა, რომ სკოლამ აქტიურად იმუშავა გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე და საბჭოს წევრებს გააცნო განხორციელებული ღონისძიებები. კერძოდ, პედაგოგიური რესურსის მიმართულებით, სკოლამ დაასაქმა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლები, საგანში „ქართული, როგორც მეორე ენა“ პედაგოგებმა უკვე წარმატებით ჩააბარეს საგნობრივი გამოცდები, ხოლო ჭადრაკისა და ფიზიკური აღზრდის საათობრივი დატვირთვა გადანაწილდა იმ მოქმედ მასწავლებლებზე, რომლებსაც გააჩნდათ შესაბამისი დამადასტურებელი სერტიფიკატები. ამასთანავე, უცხოეთში მიღებული განათლების რუსულენოვანი დოკუმენტაცია აღიარდა და შესაბამისი მტკიცებულებებიც უკვე წარმოადგინეს ცენტრში. რაც შეეხებოდა სამედიცინო მომსახურებას, ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსი მრავალჯერ გამოცხადდა, თუმცა უშედეგოდ, რის გამოც საკითხის დროულად მოსაგვარებლად სკოლამ გამოაცხადა ექთნის ვაკანსია შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის მოსაძიებლად. ინფრასტრუქტურულ და უსაფრთხოების ნაწილზე საუბრისას დირექტორმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი ახალ კორპუსში მიმდინარე წელს განახლდა. შენობის ექსპლუატაციაში მიღების აქტი მატერიალური სახით სკოლას ჯერ არ ჰქონდა მიღებული, თუმცა სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ უკვე გაცემული იყო დადებითი დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან სრული შესაბამისობის შესახებ, რასაც თანდართულ მასალებთან ერთად სკოლა დამატებით წარმოადგენდა დღის ბოლომდე. გარდა ამისა, ძველ შენობაში სკოლას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, კერძოდ, განახლდა და შეიღება ყველა საკლასო ოთახი, ხოლო უახლოეს პერიოდში იგეგმებოდა სახურავის შეკეთება და საპირფარეშოების მოწესრიგება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16 : 40
დასრულების დრო: 16: 47

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (ვიდეომონიტორინგის სისტემის დამონტაჟება, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვა, სკოლის საპირფარეშოებში პრივატულობის უზრუნველყოფა, სკოლის ეზოში არსებული ახალი შენობის სკოლის სარგებლობაში ოფიციალურად გადაცემის და ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოპოვება, ახალი შენობის საჯარო რეესტრში დარეგისტრირება და შესაბამისი ამონაწერის მომზადება) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის ივნისში წარმოდგენა.

13. სსიპ - ვლადიმერ ჯანჯღავას სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გუბის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 14 ივლისის N923910 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის სექტემბრამდე წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავება და აღრიცხვა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გვანცა ვაშაკიძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა განსაზღვრული 3 რეკომენდაცია. აქედან პირელი რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა საბიბლიოთეკო ფონდის მოწესრიგებას, სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისამდე განახორციელა, აღირიცხა სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა დაამუშავა. ასევე მან დასძინა, რომ სკოლას წარმოსადგენი აქვს დოკუმენტები, რომელთა შესრულების ვადა ჯერ არ იყო დამდგარი. აღნიშნული მიმართულებით სკოლა უკვე მუშაობდა.საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16 : 55
დასრულების დრო: 17 : 00

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

14. სსიპ - თამაზ მელიქიძის სახელობის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 17 ივლისის N941144 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის სექტემბრამდე საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, სკოლის ვებ-გვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ზალიკო მაისურაძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა. კერძოდ, მოწესრიგდა პედაგოგთა პირადი საქმეები, სკოლის ვებგვერდზე განთავსდა სრულყოფილი ინფორმაცია. რაც შეეხებოდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, აღნიშნული დოკუმენტი წარმატებით შეთანხმდა საგანგებო სიტუაციების

მართვის სამსახურთან და შეთანხმების დამადასტურებელი წერილი უკვე გადმოგზავნილი იყო. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ სასკოლო კურიკულუმებთან დაკავშირებული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული და დამატებით, ახალ სახელმძღვანელოებთან შესაბამისობით მე-7 - მე-10 კლასებში ახალი კურიკულუმები შემუშავდა. სახანძრო უსაფრთხოებასთან მიმართებითმან განმარტა, რომ სკოლა იყო ახალად რეაბილიტირებული და შენობაში დამონტაჟებული იყო სახანძრო უსაფრთხოებისთვის ყველა საჭირო სისტემა, ხოლო შესაბამისი ოფიციალური დასკვნის მოპოვება სამომავლო გეგმის ფარგლებში განხორციელდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17 : 05
დასრულების დრო: 17 : 13

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

15. სსიპ - მერაბ ჭელიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემაძეების საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 17 ივნისის N737682 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის სექტემბრამდე კვალიფიციური კადრების დასაქმების, წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წესით დამუშავების, სკოლის ღობით შემოსაზღვრისა და, მდინარის მხარეს დამცავი ჯებირების მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ბადრი ირემაძის, განმარტებით, დაწესებულებას მიმდინარე წლისთვის განსაზღვრული ჰქონდა სამი ძირითადი რეკომენდაციის შესრულება, რომელთა ფარგლებშიც სრულად დასრულდა სკოლის ეზოს შემოღობვის სამუშაოები და გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, აგრეთვე დადგენილი წესის შესაბამისად დამუშავდა სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. რაც შეეხებოდა კვალიფიციური პედაგოგიური კადრით უზრუნველყოფას, დირექტორმა აღნიშნა, რომ მიუხედავად 20 აგვისტოდან გეოგრაფიის მასწავლებლის პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსისა, შესაბამისი კადრის შერჩევა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა, თუმცა ვაკანსია ამჟამადაც აქტიური იყო, ფიქსირდებოდა ერთი აპლიკანტი და სკოლას ჰქონდა მოლოდინი, რომ აღნიშნული ადგილი უახლოეს პერიოდში შეივსებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17 : 21
დასრულების დრო: 17 : 28

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2027 წლის იანვარში წარმოდგენა.

16. სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 01 ივლისის N830816 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის სექტემბრამდე სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებულიყო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების/გადახედვის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი და სკოლის ფილოსოფიის განხილვა სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ, სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ სკოლის სამოქმედო გეგმა ეფუძნებოდეს სტრატეგიულ გეგმას. მოწყობა.

სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება., გარდა ლიფტის/პანდუსის მონტაჟისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ლია მერებაშვილის, განმარტებით, ავტორიზაციის პროცესში დაფიქსირებული ხარვეზები სტრატეგიული დაგეგმვისა და მისი შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით სრულად აღმოიფხვრა: ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდა პრიორიტეტების ხელახალი განსაზღვრა, გადაიხედა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. ამასთანავე, აღმოიფხვრა ქრონოლოგიური შეუსაბამობა სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს შორის, თავდაპირველად დამუშავდა და დირექტორის მიერ დამტკიცდა 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა, ხოლო მის საფუძველზე შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ. მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით, დირექტორმა განაცხადა, რომ სამედიცინო ოთახისთვის შეძენილი იყო შირმა, რაც დაადასტურეს ფოტომასალით. შენობის ადაპტირების ნაწილზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ შემოსასვლელში მოწყობილი იყო პანდუსი, ხოლო შშმ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, შესაბამისი საკლასო ოთახები განთავსდა პირველ სართულზე. ლიფტის/პანდუსის სრულად მოწყობის ვადად განსაზღვრული ჰქონდათ 2028 წლის მაისი. რაც შეეხება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას, დირექტორმა განმარტა, რომ სივრცეში ამ ეტაპზე განთავსებული იყო ძველი ინვენტარი, ახალი აღჭურვილობის შესაძენად გაკეთებული იყოგანაცხადი და აღნიშნული რეკომენდაცია ჯერარ იყო შესრულებული
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17 : 33

დასრულების დრო: 17 : 43

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა) მიზანშეწონილად მიიჩნია შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში 2028 წლის მაისში წარმოდგენა.

17. სსიპ – სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2026 წლის 02 ივნისის N657478 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2026 წლის სექტემბრამდე კურიკულუმების რევიზიის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.
სკოლამ ცენტრში წარმოადგინა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები..
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, არჩილ ხალვაშმა აღნიშნა, რომ სკოლამ სექტემბრისთვის განსაზღვრული რეკომენდაცია, კურიკულუმების რევიზიასთან დაკავშირებით, შეასრულა ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში და შესაბამისი დოკუმენტაცია გადაუგზავნა ცენტრს. სხვა, მომავალში შესასრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ა სკოლამ განაახლა საჯარო რეესტრის ამონაწერები, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა უკვე მზად იყო და უახლოეს დღეებში ოფიციალურად წარმოადგენდნენ. ასევე მან დასძინა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟდა წყლის სისტემა და უახლოეს პერიოდში დასრულდებოდა გამწოვი კარადის მონტაჟიც. შენობის ადაპტირებასა და ლიფტის/პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით დირექტორმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნულ სამუშაოებზე სკოლას განსაზღვრული ჰქონდა 2-წლიანი ვადა, 2028 წლამდე, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და ექთნის კაბინეტი პირველ სართულზე განთავსდა, სადაც საჭიროებისამებრ მოეწყობოდა რესურს-ოთახი, ადაპტირებული საპირფარეშო და ნებისმიერი სხვა აუცილებელი სივრცე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17 : 46
დასრულების დრო: 17: 49

საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:50 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე



